

**112**

**112**

**112**



**112**



**112**



**112**



**112**



*„112” - ას გარიშით...*

**№12**

**112**



**112**



*სკონცერტი*

*2014*

**112**



---

### რედაქტორი ლიკა ალაძაშვილი

ნომერზე მუშაობდნენ: თეა გზირიშვილი, ნინო მიქაუტაძე, ნატალია გელაშვილი,  
სალომე გელუტაშვილი, დავით ჭარტურია, შალვა კუხიანიძე,  
თეო გაგოშიძე

დიზაინი თეა კუპრაძე

- 112-ის მასშადის თაროვანაფერებისთვის  
მაღისტრალი ჩაუტარა 83.4-5
- თბილისის მარი 112-ს ესტუმრა 83.6
- 112-ს აშშ-ის ელჩი რიჩარდ ნორკადი  
ესტუმრა 83.7
- საიცონომაზიო ბანერები 83.8-9
- გამზირის მოწყვეტილი ტექსტური  
შეტყობინება 999-ზე 83.10
- 83.11-12 911 დაგახმარებათ მხოლოდ  
მაჟინ, თუ იგილისარად  
სუარობთ?
- 83.13-14 რაცატორის ფლიკი
- 83.15 ტყაჭი დაკარგული სამი ცლის  
გოგონას დაკარგული ამავავი
- 83.16-17 გაჭვთ თუ არა მყარი ცერვები?
- 83.18 მილოცვები
- 83.19 ფოტოჯონერსი



**112-ის მასშიდის  
თაროვადგენლებისთვის  
მაფიაზური ჩატარა**

2014 წლის 20-21 აგვისტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს 112-ის დეპარტამენტმა, კაჭრეთში, მასმედიის წარმომადგენლებისთვის მედიატური გამართა. მედიატურში ტელე, რადიო, ინტერნეტ და ბეჭდური მედიის 20-ზე მეტმა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა.

112-ის მიერ მედიატურის ჩატარების მიზანი იყო, უურნალისტებს მაქსიმალური ინფორმაცია მიეღოთ გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომრის ფუნქციონირების შესახებ და 112-ის წარმომადგენლებისაგან გაცნობოდნენ დასრულებულ, მიმდინარე თუ სამომავლო პროექტებს.

მედიატურის ფარგლებში განიხილეს უურნალისტებისთვის საინტერესო ყველა საკითხი, გააცნეს 112-ის მუშაობის სპეციფიკა, 2013-2014 წლის სტატისტიკა, მიიღეს დეტალური ინფორმაცია, თუ რა ღონისძიებები განხორციელდა გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომრის ცნობადობის გაზრდის და მოქალაქეთათვის უკეთესი



სერვისის შეთავაზების კუთხით. ასევე შეიტყოს, რა ცელილებები შევიდა კანონში და რა კუთხით გამკაცრდა სასხელი არამიზნობრივი ზარის განხორციელების შემთხვევაში.

112-ის წარმომადგენლებმა ორი დღის განმავლობაში ჩატარეს პრეზენტაციები ცენტრისთვის აქტუალურ თემებზე და მედის წარმომადგენლებმა მათთვის საინტერესო კითხვებზე მიიღეს ამომწურავი პასუხები.

### **გიორგი ბიჭაშვილი, 112-ის დირექტორი:**

„მედიატური საინტერესო აღმოჩნდა. მოგვეცა საშუალება, ურნალისტებისთვის გაგეცნო, თუ რა სპეციფიკით მუშაობს 112-ის სამსახური. ასევე გვესაუბრა სამომავლო გეგმებზე, რომლებზე მუშაობაც უკვე დაწყებულია. ეს პროექტები მნიშვნელოვანი იქნება სამსახურის შემდგომი განვითარებისთვის“.

112 მსგავსი მედიატურის ჩატარებას სხვადასხვა მედიასაშუალების წარმომადგენლებისთვის მომავალშიც გეგმავს.





## თბილისის მარშ 112-ს ესტუმრა

2014 წლის, 14 აგვისტოს, გადაუდებელი დახმარების ოპერატორი მართვის ცენტრი - 112 ქალაქ თბილისის მერმა, დავით ნარმანია, დაათვალიერა. ცენტრის მუშაობის სპეციფიკა მერს 112-ის დირექტორმა, გიორგი ბიჭაშვილმა, გააცნო.

დავით ნარმანიასა და გიორგი ბიჭაშვილის შეხვედრის მთავარი თემები თბილისში, სასწრაფოს ბრიგადების დამატების საჭიროებასა და სახანძრო-სამაშველო გამოძახებებზე სერვისის გაუმჯობესებას შეეხებოდა.

შეხვედრაზე 112-ის ჭარმომადგენლებმა დავით ნარმანიას, პრეზენტაციის სახით, ცენტრში განხორციელებული ცვლილებები და სამომავლო გეგმები გააცნეს. მხარეებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს 112-ის დეპარტამენტსა და მერიას შორის სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავების საკითხებიც განიხილეს.

სტუმრებმა 112-ის ქოლ ცენტრი დაათვალიერეს და დააკვირდნენ სამუშაო პროცესს. დავით ნარმანია ოპერატორების მუშაობის პირობებითაც დაინტერესდა. ყურადღება გამახვილდა გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომრის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ ერთ ნომერზე დარეკვით ყველა საგანგებო სამსახურთან დაკავშირება მაქსიმალურად მოკლე დროში ხდება.

შეხვედრის დასასრულს, 112-ის დირექტორმა სტუმრებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.





## 112-ს აგგი-ს ცლჩი, რიჩარდ ნორლანდი, ესტუმრა

2014 წლის, 22 აგვისტოს, შსს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი - 112 ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა, რიჩარდ ნორლანდმა, დაათვალიერა. ცენტრის მუშაობის სპეციფიკა ელჩს, 112-ის დირექტორმა, გიორგი ბიჭაშვილმა გააცნო.

რიჩარდ ნორლანდისა და გიორგი ბიჭაშვილის შეხვედრის მთავარი თემები 112-ის სამომავლო პროექტების განხორციელებაში ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერისა და 911-ის გამოცდილების გაზიარების საკითხებს შეეხებოდა.

შეხვედრაზე, 112-ის წარმომადგენლებმა, რიჩარდ ნორლანდს, ცენტრში განხორციელებული ცვლილებები და სამომავლო გეგმები გააცნეს. მხარეებმა ორ ქვეყანას შორის სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავების საკითხები განიხილეს.

დელეგატებმა 112-ის ქოლცენტრი დაათვალიერეს და სამუშაო პროცესს გაეცნენ. რიჩარდ ნორლანდი ოპერატორების მუშაობის პირობებითაც დაინტერესდა. უკრადოება გამახვილდა გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომრის მნიშვნელობაზე.

შეხვედრის დასასრულს 112-ის დირექტორმა სტუმრებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.



ცენტრალური ამაღლების მიზნით, 112-ის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე, პერიოდულად იდება ბანერები. აღნიშნული ბანერები საინფორმაციო ხასიათისაა და მოსახლეობისთვის მარტივად ინფორმაციის მიწოდებას ემსახურება.



## საქართველოს ხასიათის ცენტრის მიზნით!

### ყოველი პროცესის გარეთ ეკრიფთ 112



ერთქვე  
ხასიათის მიზნით:

- მოგილი ის ფიცირებულების ტაღაფონის მიზნით!
- თა ტაღაფონის მიზნით მართვის მიზნით!
- რომელ ტაღაფონის არ იცავს სიმ-ბარათი!

**112-ზე ერთქვე ეფესონ!**



კონკრეტული გადაწყვეტილების შემთხვევაში შემდეგ  
სამსახურის მიმართ:

- საქათრისტო აოლისი
- სახანძელო-სამაზრი აოლი
- სასრულო-სამაზრი აოლი

**112** როდე თავადი გადაწყვეტილია...



## რომელს ვრჩავთ 112-ზე?

რომელსაც გვჭირდება:

- საქათრისტო აოლისი**
- სასწრაფო-სამაღლისი  
დამარცხება**
- სახანძელო-სამაზრი  
სამსახური**

როგორ თავიათ გადაწყვეტილია...  
[www.112.ge](http://www.112.ge) [fb.com/112.ge](https://fb.com/112.ge)



განვითარებული მოწყვეტილი  
შეტყობინება 999-ზე

გაერთიანებული სამეფოს, საგანგებო ნომერი, 999, უძველესია მსოფლიოში, თუმცა საინჟინრო და ტექნიკური სიახლეები მას აიძულებს თანამედროვე კომუნიკაციების მეთოდები დანერგოს.

1937 წლიდან კომუნიკაციის საშუალებები მყვეთრად შეიცვალა. გაერთიანებული სამეფოს საკომუნიკაციო მარეგულირებელმა, უწევბის Ofcom-ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ სხვადასხვა კომუნიკაციის საშუალებების მომხმარებელთა 94%, 12-დან 15 წლამდე ახალგაზრდები არიან. ეს სოციალური კატეგორია უპირატესობას ანიჭებს მოკლეტექსტურ შეტყობინებებს და მათგან მხოლოდ 3% ირჩევს ხმოვან კომუნიკაციას.

ახალგაზრდა თაობა არა მხოლოდ აქტიურად იყენებს მოკლე ტექსტურ კომუნიკაციას, არამედ ისინი უველაზე ხშირად ხდებიან დანაშაულის ან უბედური შემთხვევის მსხვევლი.

ამიტომ დაიგეგმა ახალი ტექსტური პლატფორმის დანერგვა, რომელიც მოკლე ტექსტური საშუალებით დააკავშირებს მოქალაქეებს საგანგებო სამსახურებთან.

ის არამარტო გადაარჩენს განსაცდელში მუკოფ მრავალ სიცოცხლეს, არამედ საშუალებას მისცემს, 999-ის დისპეტჩერებს, მოახდინონ საქმეთა ფილტრაცია და განახორციელონ შესაბამისი და სწრაფი რეაგირება.

ასე, მაგალითად, ავტომატური კომპიუტერული სისტემა მოახდენს ტექსტის სკანირებას და მიაწვდის დისპეტჩერს ნებისმიერ ინფორმაციას მობილური ტელეფონის ადგილ-მდებარეობის შესახებ, მოპარულია ის თუ არა და ა.შ.



## 911 ფაზეხარაგათ მხოლოდ მაშინ, თუ იგელისურად საუბრობათ?

911-ის ზარის ინიციატორს ყველაზე ნაკლებად სურს პასუხად გაიგონოს სიტყვები: „მე თქვენი არ მესმის“, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე ხშირად ხდება. მაშინ როცა, 911-ის თანამშრომლები საუბრობენ მხოლოდ ინგლისურად, ამერიკული საზოგადოება სულ უფრო მრავალეროვანი ხდება და მრავალი მათგანი ან ცუდად ფლობს ინგლისურ ენას, ან საერთოდ არ ესმისი იგი.

უცხოენოვანი ზარები 911-ზე ყოველდღიურად შემოდის. ისინი თანამშრომლობენ ე.წ. საგანგებო სათარჯიმო სამსახურებთან, თუმცა, ეს ხშირად მაინც არ არის საკმარისი და მუშაობის დროს ხდება შეფერხებები და დაყოვნებები.

ვეტერანი ზარის მიმღები და ტრენინგების მენეჯერი, ქ-ნ ანდრეა ტობინი, ვილამიტ ვალის (ორეგონის შტატი) ქოლ ცენტრიდან აცხადებს, რომ თარჯიმანის ჩართულობა ხშირად საჭიროებს დამატებით დროს, მაშინ როცა ყოველი წამი გადამწყვეტია, მაგრამ დისპეტჩერები გადაინ სპეციალურ მომზადებას, რათა თვითონაც შეინარჩუნონ სიმშვიდე და ინიციატორიც არ გააღიზიანონ. როცა საჭმე გვაჭვს ესპანურენოვან ინიციატორთან, ეს მარტივია, იმიტომ, რომ ოპერატორების უმეტესობას ესმის ესპანური, მაგრამ როცა საჭმე გვაჭვს სხვა ენასთან, რეაგირება გაცილებით როზულია და დისპეტჩერებს უწევთ იმუოფებოდნენ მოლოდინის რეჟიმში თარჯიმის ჩართვის მომენტამდე. ეს ლოდინი საშუალოდ შეადგენს 30 წამიდან ერთ წუთამდე.

ჩრდილო-დასავლეთ შტატებში, ესპანური ყველაზე მოთხოვნადი ენაა საგანგებო სათარჯიმო სამსახურებისათვის, მას მოსდევს რუსული, ვიეტნამური და ჩინური თავისი უმრავი დიალექტით.

ასევე ბიოსი (აიდაშოს შტატი) და სიეტლის (ვაშინგტონის შტატი) 911-ს ქოლ-ცენტრების ზედამხედველობის სამსახურების ინფორმაციით, იმატა ზარებმა აფრიკულ და შუა აღმოსავლურ ენებზე.

უმსხვილესი სათარჯიმნო სამსახურები, რომლებიც თანამშრომლობენ 911-ის ქოლ-ცენტრებთან არინ *Telelanguage* და *LanguageLine* აცხადებენ, რომ შეუძლიათ თარჯიმნობა ორას ენაზე. თუმცა მათი რესურსიც შეზღუდულია და ამიტომ ხდება 911-ის მუშაობაში დაყოვნებები.

911-ის ქოლ ცენტრებზე ზედამხედველობის სამსახურის დირექტორის, მარკ ბუჩ-ჰოლცის განცხადებით, სათარჯიმნო სამსახურების დაქირავება გაცილებით იაფი დება ვიდრე, ორი ან სამი უცხო ენის მცოდნე ოპერატორის დაქირავება, მაგრამ უმეტეს ქოლ ცენტრებში მაინც არის ორი ესპანურენოვანი და ერთი რუსულენოვანი დისპეტჩერი. ქოლ ცენტრები აქტიურად იწვევენ ორენოვან დისპეტჩერებს, მაგრამ მათი მოძებნა საკმაოდ ძნელია.

ბუჩ-ჰოლცის თქმით, ისინი ვერ ითხოვენ ოპერატორებისგან მეორე ენის სავალდებულოდ ცოდნას, მაგრამ ანიჭებენ მათ დამატებით ბონუსებს.

911-ზე ზედამხედველობის სამსახური მოუწოდებს უველა ინგლისურის არმცოდნე მოქალაქეს 911-ზე მისაწოდებელი უმარტივესი ტექსტი მაინც შეისწავლონ ინგლისურ ენაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ შესაძლოა მოუწიოთ ლოდინი, რათა საგანგებო დახმარება მიიღონ.





HELP ME!

**სუზი ბრენტი, ლონდონის სასწრაფო დახმარების ცენტრის დისპეტჩერი, იხსენებს ერთ-ერთ პანიკურ ზარს. ამ ისტორიის წაკითხვის შემდეგ, თითოეულმა ჩვენგანმა უნდა გაიაზროს, თუ რა მნიშვნელობა აქვს, მსგავსი შემთხვევების დროს, სიმშევიდის შენარჩუნებასა და გააზრებულად მოქმედებას.**

### **8 ივნისი, 2006**

**სუზი ბრენტი:** გისმენთ, რით შემიძლია დაგეხმაროთ? რა მოხდა?

**ის:** ჩემი მოხუცი მამა ცუდად, სუნთქვა უჭირს და ვერ ვაღვიძებ.

**სუზი ბრენტი:** გასაგებია, მითხარით თქვენი მისამართი.

**ის:** 10, FOREST VILLAS, RICHMOND.

**სუზი ბრენტი:** სასწრაფო-სამედიცინო დახმარება გამოგზავნილია, ახლა გთხოვთ რამდენიმე კითხვაზე მიპასუხოთ.

**ის:** მე არ მაქვს ახლა დრო, რომ გიბასუხოთ, გთხოვთ სასწრაფოდ დამეხმაროთ!

**სუზი ბრენტი:** თუ კითხვებზე მიპასუხებთ, მე შემეძლება დაგეხმაროთ და გითხრათ, როგორ უნდა მოიქცეო სასწრაფო დახმარების მოსვლამდე.

**ის:** მე არაფრის გაკეთება არ შემიძლია.

**სუზი ბრენტი:** ბრიგადა უკვე გამოსულია; რამდენი წლისაა?

**ის:** ამას რა მნიშვნელობა აქვს. ის უგონოდაა.

**სუზი ბრენტი:** 80 წელს გადაცილებულია? თუ უფრო ახალგაზრდა?

**ის:** ის 82 წლისაა, გთხოვთ დამეხმარეთ.

**სუზი ბრენტი:** უგონოდაა? მაგრამ სუნთქვას?

**ის:** არა, არვიცი, კი, დამეხმარეთ.

**სუზი ბრენტი:** დარჩით ხაზე, გეტჰეით, როგორ უნდა მოიქცეთ. დააწვინეთ ის იატაკზე.

**ის:** არ შემიძლია!

**სუზი ბრენტი:** არის ვინმე ვინც დაგეხმარებათ?

**ის:** ჩემი მეუღლეა ჩემთან ერთად.

**სუზი ბრენტი:** კარგი, უთხარით მას, რომ დაგეხმაროთ. დააწვინეთ იატაკზე, ზურგზე, ბალიშის გარეშე და მოახრევინეთ ქვედა კიდურები, მუხლის სახსარში.

**ის:** ეს არ გამოვა.

**სუზი ბრენტი:** ეს აუცილებლად უნდა გააკეთოთ.

**ის:** არა, არ შემიძლია. ის ინვალიდის სავარძელში ზის. გთხოვთ, დააჩქარეთ სასწრა-ფო-სამედიცინო დახმარება.

**სუზი ბრენტი:** ბრიგადა უკვე გზაშია, მე არ შემიძლია ისინი დაგაჩქარო, მე მხოლოდ შემიძლია თქვენ დაგეხმაროთ და მოგცეთ მითითებები სანამ დახმარება მოვა. გთხოვთ, სავარძლიდან იატაკზე დაწვინოთ, სთხოვეთ თქვენს მეუღლეს დაგეხმაროთ. თუ ვერ შეძლებთ, მაშინ ამოადებინეთ ხელი თავჭვეშ, ხოლო მეორე ხელი დაადებინეთ შუბლზე, თავი გადაუწიეთ და შეამოწმეთ, გესმით ან გრძნობით თუ არა მის სუნთქვას.

**ის:** არა, ის არ სუნთქვას.

**სუზი ბრენტი:** მაშინ სასწრაფოდ საჭიროა სუნთქვა აღვუდგინოთ, დააწვინეთ ია-ტაკზე, იქნებ მოახერხოთ.

**ის:** მე ხომ გითხარით, არ შემიძლია.

**სუზი ბრენტი:** მაშინ ინვალიდის სავარძელშივე გაუკეთეთ გულის მასაჟი.

**ის:** კარგი, მაგას გავაკეთებთ.

ამ დროს სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადაც მივიდა. სუზი ბრენტის და ზარის ინიციატორი ქალბატონის საუბარი 6 წუთს გაგრძელდა, მაგრამ მიცემული რჩევების მიუხედავად, ვერაფრის გაკეთება შეძლეს.

**საქართველოს 112-ის ზარის მიმღებს, ნინო გოგუაძეს, პანიკური ზარები ხშირად მიუღია.**

- „ამ დროს, მთავარია, ზარის მიმღებმა სიმშვიდე შეინარჩუნოს და გაიგოს მისა-მართი, ყველაზე მთავარი ზუსტი მისამართის ცოდნაა. რაც შეეხება კონსულტაცი-ებს, ჩვენ კონსულტაციებს არ ვაძლევთ, თუ განსაკუთრებული შემთხვევა არ არის, მაგალითად როცა ბავშვი რეკავს და ამბობს, რომ მშობელი ჰყავს ცუდათ, ამ შემთხვე-ვაში ვრჩებით ხაზზე და შეძლებისდაგვარად ვეხმარებით, ან როცა CO-თი ინტოქსი-კაციაა, ამ დროსაც ვაძლევთ კონსულტაციას, რომ გაა-ღოს ფანჯრები და ა.შ.

ხშირ შემთხვევაში პანიკური ზარის დროს ინიციატორი თიშვას ტელეფონის. მე მო-გიწოდებთ, რომ შეინარჩუ-ნოთ სიმშვიდე და უბასუხოთ ოპერატორის მიერ დასმულ შეკითხვებს, რათა დროულად მიიღოთ გადაუდებელი დახ-მარება.“



## ბყავში დაქარგული სამი წლის გოგონას დაუჯირაბალი ამბავი

სამაშველო ოპერაციის წევრები ტყეში დაკარგულ 3 წლის გოგონას ათი დღე ეძებდნენ. შემთხვევა იაკუტიის ტაიგაში მოხდა. საბოლოოდ, პატარა თავისი სოფლიდან ეჭვს კილომეტრში იპოვეს. ბავშვი მაშინვე გადაიყვანეს რაიონულ საავადმყოფოში რეაბილიტაციისთვის.

სოფელში სულ რვა ადამიანი ცხოვრობს. ბავშვი დედამ და ბებიამ იქ თიბვის პერიოდში წაიყვანეს, რომ კაცებს დახმარებოდნენ. 29 ივლისს პატარა ბებიასთან დატოვეს. ბებიას ჩაუთვლემია, ხოლო როცა გაიღვიძა, შვილიშვილი ვეღარ იპოვა. არც ბებია და არც დედა არ აღელვებულან, რადგან იფიქრეს, რომ გოგონა მამამ წაიყვანა. მთელი ოთხი დღე ბავშვი არავის უძებნია. მხოლოდ ოთხი დღის შემდეგ, 2 აგვისტოს, როცა მამამ სახლში შეიარა, გაირკვა, რომ უბედურება დატრიალებულა. მაშინ დაიწყეს პატარას ძებნა.

ტაიგას უპილოტო საფრენი აპარატებითა და უამრავი ფეხით მოსიარულე მაშველით უვლიდნენ გარს. მებუთე დღეს, სოფელში, ძალი დაბრუნდა, რომელიც გოგონას ახლდა თან. ძალი მშერი და დაუძლეურებული იყო. ამის შემდეგ უკვე ძალითან ერთად გააგრძელეს მაშველებმა ძიება და ბავშვის კვალს მხოლოდ მეათე დღეს მიაგნეს.

ბავშვის გადარჩენა მშობლებისთვისაც დაუკერებული იყო, რადგან უკვე უცელას ეგონა, რომ პატარას მხოლოდ გარდაცვლილს თუ მიაკვლევდნენ, რადგან მსგავსი ფაქტი არაერთხელ მომხდარა და ტყეში შიშისა თუ შიმშილისგან არაერთი ბავშვი გარდაცვლილა.





გაქვთ თუ არა მყარი ნარვები?

(ფსიქოლოგიური ტესტი)

გთავაზობთ ტესტს, რომელიც დაგეხმარებათ გაიგოთ რამდენად მყარია თქვენი ნერვული სისტემა და შეგიძლიათ თუ არა თავის შეკავება კონფლიქტურ სიტუაციებში? უპასუხეთ „დიას“ ან „არა“

- 112** მარტივად ბრაზდებით?
- 112** გიჭირთ მოდუნება?
- 112** ხშირად გაწუხებთ უძილობა?
- 112** ღებულობთ თუ არა საძილე პრეპარატებს?
- 112** გაწუხებთ თუ არა რაიმე დაავადება, რომელიც სტრესის დროს ღვივდება?
- 112** პანიკაში ვარდებით?
- 112** ხშირად გადარდებთ რას ფიქრობენ თქვენზე?
- 112** ნერვიულობთ თუ არა ფულზე?
- 112** ხშირად გრძნობთ თავს უხერხულად?
- 112** თვლით თუ არა, რომ შებოჭილი ხართ?
- 112** გაკრთობთ ტელეფონის ზარი?
- 112** განერვიულებთ თუ არა თქვენი ჯანმრთელობა?
- 112** თვლით თუ არა, რომ ბევრი ვალდებულებები გაქვთ?
- 112** განერვიულებთ თუ არა წვრილმანები?
- 112** გაღიზიანებთ საცობები?
- 112** გეშინიათ სიბნელის?

- 112** გიკანკალებთ ხმა როცა რამეზე ნერვიულობა?
- 112** მიგილიათ თუ არა დამამშვიდებელი საშუალება?
- 112** გქონიათ თუ არა სურვილი ყველაფერი მიუაროთ და წახვიდეთ.
- 112** მიდრეკილი ხართ შფოთვისკენ?
- 112** ხშირად ნერვიულობა?
- 112** მარტივად წითლდებით?
- 112** ხშირად ღიზიანდებით, როდესაც არ გიმართლებთ?
- 112** ნერვიულობა თუ არა სანამ წახვალთ მეგობრებთან ერთად, სტუმრად და ა.შ?
- 112** ბრაზდებით როდესაც დაგცინიან?
- 112** გალიზიანებთ ხმაური?
- 112** მოგწონთ ახალი ნაცნობობა?
- 112** გალიზიანებთ როდესაც თქვენგან რაიმეს მოითხოვენ?
- 112** რამოდენიმეჯერ ამოწმებთ დაკეტეთ თუ არა კარი დაძინებამდე?
- 112** ბევრ დროს კარგავთ წვეულების ან დღესასწაულის მოსაწყობად?

ყოველ დადებით პასუხზე დაიწერეთ 1 , ხოლო ყოველ უარყოფით პასუხზე - 0 ქულა.


20-30 ქულამდე: თქვენ გაუწონასწორებელი და მარტივად ფეთქებადი ბრძანდებით.

10 - 20 ქულამდე: ცოტა გაუწონას-წორებელი ხართ, მაგრამ არ ხართ გამაღიზიანებელი.

5 ქულაზე ნაკლები: თქვენი სიმშვიდის სხვებს შეიძლება მხოლოდ შეშურდეთ.



# ვისტავი



# ფოტოსამცნეურებელი



**თეა კუპრაძე**

შსს სსიპ 112-ის

საზოგადოებასთან ურთიერთობის

სამსახური



შსს სს03 - 112

ვაშტიავ3რისა და ცეცუბიძის  
მიერთონაიონდების დასავაჭიროებები  
1360ბაზი

ვებ-გვერდი [WWW.112.GE](http://WWW.112.GE)  
ელ-ფოსტა [112NEWS@112.GE](mailto:112NEWS@112.GE)